ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში

2022

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში

2022

ანგარიშის ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი, ალექსი მერებაშვილი

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, უჩა ნანუაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hrc.ge

Norwegian Helsinki Committee

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 4

გორის მუნიციპალიტეტი 5

სოფლები - ციცაგიანთკარი, ჯარიაშენი და აძვი 5

სოფელი ერგნეთი 8

კასპის მუნიციპალიტეტი 11

სოფელი თვაურები 11

ქარელის მუნიციპალიტეტი 11

სოფლები - ღოღეთი და ფცა 11

ხაშურის მუნიციპალიტეტი 12

სოფლები - ჩორჩანა და ყობი 12

დუშეთის მუნიციპალიტეტი 13

სოფლები - ჩიტაურები და თანდილაანთკარი 13

სოფლები - პეტრიანი, ახალი ბურღული და ქარქუშაანი 13

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში 14

რეკომენდაციები 17

ძირითადი მიგნებები

წინამდებარე ანგარიში ასახავს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. ანგარიში ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2021 და 2022 წლებში აღნიშნულ სოფლებში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების შედეგებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მითითებულ პერიოდში 14 სოფელი მოინახულეს 5 მუნიციპალიტეტში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, გაესაუბრნენ სოფლებში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას და დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც არსებული პრობლემები ფიზიკური შემოწმების შესაძლებლობას იძლეოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ასევე მიმართა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, მოითხოვა საჯარო ინფორმაცია და რეაგირება სოფლებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, ოკუპაციით გამოწვეულ უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას. ამ სოფლებში მოსახლეობისთვის ძირითადი შემოსავლის წყარო მიწათმოქმედება და მეცხოველეობაა. მოსახლეობას ორივე მიმართულებით მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნება. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულმა მცოცავმა ოკუპაციამ შეზღუდა მათი წვდომა გარშემო არსებულ ბუნებრივ რესურსებზე, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, ტყესა და საძოვრებზე. მათი წვდომის ქვეშ დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მცირე ნაწილს კი, მოსახლეობა ვერ იყენებს შესაბამისად, გაუმართავი სარწყავი წყლის სისტემის გამო. ამ ანგარიშში წარმოდგენილი სოფლების უმრავლესობაში, სარწყავი წყლის სისტემა სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს. რამდენიმე სოფელს კი საერთოდ არ მიეწოდება სასმელი წყალი.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ასევე ადეკვატურ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. სოფლების მცირე ნაწილში განთავსებულ ამბულატორიებს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. . სოფლების უმრავლესობაში არ არის განთავსებული აფთიაქი. გაუმართავია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა. რიგ სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ ფუნქციონირებს. მოუწესრიგებელია შიდა საუბნო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები. მსგავსი პრობლემები განსაკუთრებით საგანგაშოა ხანდაზმული პირებისთვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება და ხშირად საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას. აღსანიშნია, რომ ამ სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სწორედ ხანდაზმული პირები წარმოადგენენ. საარსებო წყაროებისა და განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობის გამო, სოფლებს ტოვებენ ახალგაზრდები.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად, აუცილებელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა იმუშაონ უფრო კოორდინირებულად და პროაქტიულად, იქონიონ მჭიდრო კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან და აწარმოონ მათთან აქტიური კომუნიკაცია. მცოცავი ოკუპაციიდან გამომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა განსაკუთრებით პრიორიტეტული უნდა იყოს. თუმცა, როგორც რეალობა აჩვენებს, ეს მოსახლეობა ყველაზე მეტად არის დავიწყებული და მათ პრობლემებს ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა.

ანგარიშის ქვემოთ წარმოდგენილ ქვეთავებში მიმოხილული და გაანალიზებულია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების კონკრეტულ მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში განხორციელებული მონიტორინგის

ვიზიტების შედეგები და გამოვლენილი პრობლემები. ეს სოფლებია: ციცაგიანთკარი, ჯარიაშენი, აძვი და ერგნეთი (გორის მუნიციპალიტეტი), თვაურები (კასპის მუნიციპალიტეტი), ღოღეთი და ფცა (ქარელის მუნიციპალიტეტი), ჩორჩანა და ყობი (ხაშურის მუნიციპალიტეტი), პეტრიანი, ახალი ბურღული, ქარქუშაანი, ჩიტაურები და თანდილაანთკარი (დუშეთის მუნიციპალიტეტი).

გორის მუნიციპალიტეტი

სოფლები - ციცაგიანთკარი, ჯარიაშენი და აძვი

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები 2022 წლის 26 ივლისს იმყოფებოდნენ გორის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში - ციცაგიანთკარში, ჯარიაშენსა და აძვში. სოფელ ციცაგიანთკარში ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის მიღების მთავარ წყაროს მიწათმოქმედება და მეცხოველეობა წარმოადგენს. მოსახლეობას ორივე მიმართულებით სერიოზული პრობლემები ექმნება. სრულფასოვან მიწათმოქმედებას ხელს უშლის გაუმართავი სარწყავი სისტემები. სოფლის ნაწილს მიეწოდება სარწყავი წყალი, ნაწილს კი - არა. ეს პრობლემა გამოწვეულია სარწყავი წყლის ე.წ. გამანაწილებლის გაუმართაობით. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ფიზიკურად დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც მცხოვრებ ადგილობრივებს სარწყავი წყალი არ მიეწოდება. *„პირდაპირ მეტირება ხოლმე, როცა ვუყურებ ჩემს ნარგავ-ნათესებს. გასახმობად მენანება“* - აღნიშნა სოფლის ამ ნაწილში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ადგილობრივმა. მოსახლეობა შიშობს, რომ სარწყავი წყლის ნაკლებობასთან დაკავშირებულმა პრობლემამ და სარწყავი წყლის სისტემით სოფლის არათანაბარმა უზრუნველყოფამ, შესაძლოა, ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის კონფლიქტები გამოიწვიოს. *„ბევრჯერ იარაღით ვმდგარვარ და ესე მომირწყვია ჩემი ბაღი. კი არ ვესვრი, მაგრამ შიში ექნებათ, სხვანაირად არ გამოდის“,* - აღნიშნა ციცაგიანთკარის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებთან შეხვედრისას[1].

რაც შეეხება მეცხოველეობას, ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიწის ნაკვეთები, რომლებსაც იყენებდნენ საძოვრად, მათთან ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშე გასხვისდა კერძო პირზე. მოსახლეობას არ მიუღია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგეგმებოდა ამ მიწების პრივატიზება. კერძო მესაკუთრემ აღნიშნული ნაკვეთი შემოღობა. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას შეეზღუდა ამ მიწით სარგებლობის შესაძლებლობა. *„რით ვირჩინოთ თავი?!.. მიწაა და ვერ ვამუშავებთ იმის შიშით, რომ ნარგავ-ნათესებს ვერ მოვრწყავთ და გაგვიხმება. მეცხოველეობაა და საძოვრები, ფაქტობრივად, აღარ დაგვრჩა. ერთი მხრივ, ეს მცოცავი ოკუპაცია და მეორე მხრივ, გაყიდული და გასხვისებული მიწები. სოფელი სულს ღაფავს, პატრონი კი არსაიდან არ ჩანს“,* - ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს განუცხადა სოფლის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა[2].

სოფელ ციცაგიანთკარში არსებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არასაკმარისი და ამორტიზებული ნაგვის ურნები. სოფლის შესასვლელში მოწყობილია სტიქიური ნაგავსაყრელი.

სოფელ ციცაგიანთკარში ასევე პრობლემას წარმოადგენს ადეკვატურ ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციით, სოფელში მიმდინარე წლის ზამთარში დაიდგა კოტეჯი, მასში ამბულატორიის განთავსების

---

[1] სტატია „სოფელი ამბულატორიისა და სარწყავი წყლის გარეშე, ცხოვრება მავთულხლართების მიღმა“: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20451&lang=geo&fbclid=IwAR1R0JoAY9Sa49VcUf9ceaAvoN8YlaaWTzjXFT4rVdUZYsvVUr5k1hv0JmE

[2] *იგივე*

მიზნით. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ადგილზე იხილეს, რომ 2022 წლის 26 ივლისის მდგომარეობით, კოტეჯი ჯერ კიდევ უფუნქციო იყო. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, სოფელში ბევრი ხანდაზმული მოსახლე ცხოვრობს. შესაბამისად, ამბულატორიის ამუშავება მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სოფელში ამბულატორიის შექმნის საჭიროების შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრმა ჯერ კიდევ 2019 წელს მიმართა გორის მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს ოფიციალური განცხადებით. გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 21 ნოემბრით დათარიღებული პასუხის თანახმად, 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სოფელ ციცაგიანთკარში ამბულატორიის მოსაწყობად კოტეჯის შეძენა. ფაქტია, დღემდე ამბულატორია სოფელში ამოქმედებული არ არის და მოსახლეობას კვლავ შეზღუდული აქვს წვდომა ადეკვატურ ჯანდაცვაზე. სხვა პრობლემებთან ერთად, 2019 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრი გორის მუნიციპალიტეტის მერიას ასევე წერდა სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ. ადგილობრივმა თვითმმართველობამ უზრუნველყო სასმელი წყლის სისტემის გამართვა და ამ მხრივ ადგილობრივებს პრეტენზიები აღარ გააჩნიათ.

სოფელ ჯარიაშენში ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მცოცავი ოკუპაციის შედეგად, ადგილობრივი მაცხოვრებლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაკარგა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. დაკარგული მიწის სანაცვლოდ, მათ არც სახელმწიფოსაგან და არც ადგილობრივი თვითმმართველობისაგან არ მიუღიათ რაიმე სახის კომპენსაცია ან სანაცვლო მიწის ნაკვეთები. ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე საძოვრების არარსებობა. მათი განმარტებით, საძოვრებად გამოყენებული მიწის ნაკვეთები ციცაგიანთკარის მსგავსად იჯარით გაიცა კერძო პირებზე. მოსახლეობის წინასწარ ინფორმირებას არც ამ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი. კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა სოფელში სანიაღვრე სისტემების მოუწესრიგებლობა. სანიაღვრე არხების არარსებობის გამო, სარწყავი წყალი გადმოდის ახალდაგებულ ასფალტზე და აზიანებს მას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები სოფელ ჯარიაშენში 2019 წელსაც იმყოფებოდნენ. ამ პერიოდში სოფელში აღმოჩენილ პრობლემებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრმა ოფიციალური წერილით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიმართ გაჟღერებულ ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა სოფლისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა, სოფლის მოსახლეობას გარკვეული სოციალური შეღავათებით ესარგებლა. სოფელ ჯარიაშენს დღეისათვის მინიჭებული აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი. ორგანიზაცია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანოს ასევე სთხოვდა რეაგირებას მოუწესრიგებელი გზის პრობლემაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შემდეგ, სოფელში განხორციელდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც მისასალმებელია. თუმცა, ამჟამინდელი მდგომარეობით, სანიაღვრე სისტემების გაუმართაობა საფრთხეს უქმნის ახალდაგებულ გზას.

სოფელ აძვში გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა: ჯარიაშენი-აძვის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის მოუწესრიგებლობა და სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის დაბინძურება. ადგილობრივების განმარტებით, წლებია, ითხოვენ ჯარიაშენი-აძვის დამაკავშირებელი გზის მცირე მონაკვეთის ასფალტირებას, მაგრამ, არაერთი დაპირების მიუხედავად, პრობლემა მოუგვარებელია. გზის ამ მონაკვეთით ადგილობრივები აქტიურად სარგებლობენ მიწის ნაკვეთებში გასასვლელად. ამავე გზით დადიან ბავშვები სკოლასა და

საბავშვო ბაღში. ამიტომ, მათთვის მნიშვნელოვანია, რეაბილიტაცია დროულად განხორციელდეს. რაც შეეხება სასმელი წყლის სათავე ნაგებობას, ადგილობრივების განმარტებით, იგი დაბინძურებულია და არ აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს: სავსეა ქვეწარმავლებით და ხშირად მოდის მღვრიე წყალი. წყალი სასმელად მიეწოდება საბავშვო ბაღსაც. მიუხედავად იმისა, რომ ხდება წყლის დაქლორვა, ადგილობრივები შიშობენ, რომ ის არ არის სასმელად ვარგისი. ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს არ მისცეს საშუალება, დაეთვალიერებინათ წყლის სათავე ნაგებობა და გადაეღოთ მისი ფოტო[3].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2022 წლის ივლისში წერილით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას სოფელ ციცაგიანთკარში, ჯარიაშენსა და აძვში დაფიქსირებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობებია დაგეგმილი ამ პრობლემების მოგვარების მიზნით. გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან 2022 წლის 5 სექტემბერს მიღებული პასუხის თანახმად, მერიის ზედამხედველობის სამსახურმა მერის წარმომადგენელთან ერთად ახალუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილზე შეისწავლა ციცაგიანთკარის მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემები. საძოვრების ნაკლებობასთან დაკავშირებით, მერია აღნიშნავს, რომ მოსახლეობას შეუძლია, პირუტყვი აძოვოს მდინარე აძურის პირას არსებულ საძოვრებზე. სარწყავი წყლის გაუმართაობასთან დაკავშირებით, მერია აცხადებს, რომ სოფელ ციცაგიანთკარში სარწყავი წყლის პრობლემური საკითხის შესწავლა მოხდება მელიორაციის სამსახურთან ერთად. მერიის ინფორმაციით, ნაგვის ურნების შესაძენად ელოდებიან კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებას. სტიქიური ნაგავსაყრელების მოწყობისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების საკითხის შესახებ, მერია მიუთითებს, რომ ვერ ხერხდება სამართალდამრღვევი პირების დადგენა. თუმცა, მერიის შესაბამისი სტრუქტურები მოახდენენ სტიქიურად მოწყობილი ნაგავსაყრელების ლიკვიდაციას.

გორის მუნიციპალიტეტის მერია ინფორმაციას წარმოადგენს ასევე სოფელ ჯარიაშენში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. მერიის ინფორმაციით, სოფელ ჯარიაშენში მისასვლელი გზის გარკვეულ მონაკვეთზე 2022 წელს დაგეგმილია სანიაღვრე არხის მოწყობა. აძვი-ჯარიაშენის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად კი მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები ტენდერის გამოსაცხადებლად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხიდან იკვეთება, რომ გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებით კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობაა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის. მაგალითად, საძოვრების მიზნით გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების საკითხზე მერია აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს განკარგავს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. მერიის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო მიმართავს მუნიციპალიტეტს შეკითხვით, მითითებულ სოფლებში ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მხრიდან გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისებამდე აქტიური კომუნიკაცია აწარმოოს მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებთან და გაითვალისწინოს ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია, რომლისთვისაც ამ მიწებზე წვდომის შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

[3] აღნიშნული ფაქტის შესახებ იხილეთ ანგარიშის ქვეთავი: ,,გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში“.

2022 წლის 31 აგვისტოს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიიღო წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოსგან, სოფელ აძვში სასმელი წყლის დაბინძურების საკითხთან დაკავშირებით. სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2022 წლის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წლის 15 აგვისტოს, განხორციელდა სასმელი წყლის სინჯების აღება სოფელ ახალუბანსა და სოფელ აძვში. წყლის სინჯები გამოსაკვლევად გადაეცა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას. ლაბორატორიის მიერ განხორციელებულმა გამოკვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ სოფელ აძვში მოსახლეობას სასმელად უვარგისი წყალი მიეწოდება. სოფელ აძვში, საცხოვრებელი ეზოს ონკანიდან აღებულ წყალში აღმოჩნდა საერთო კოლიფორმული ბაქტერიები და ფეკალური ბაქტერიები. სოფელ ახალუბნის საბავშვო ბაღის ეზოში არსებული ონკანიდან აღებულ წყალში კი აღმოჩნდა საერთო კოლიფორმული ბაქტერიები. როგორც სააგენტო იტყობინება, აღნიშნული შედეგებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ეცნობა სასმელი წყლის მიმწოდებელ ბიზნეს-ოპერატორს - გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურს. სურსათის ეროვნული სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ უმოკლეს ვადებში განხორციელდება აძვი-ახალუბნის სათავე-ნაგებობის სახელმწიფო კონტროლი (ინსპექტირება), რის შედეგებსაც ადამიანის უფლებათა ცენტრს გააცნობენ დამატებით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან განხორციელებული კომუნიკაციისა და ადვოკატირების შედეგად გამოიკვეთა მათი მხრიდან გარკვეული პრობლემების მოგვარების გეგმა ციცაგიანთკარში, აძვსა და ჯარიაშენში, რაც მისასალმებელია. მთავარია ეს გეგმა პრაქტიკულად განხორციელდეს და რეალური ნაბიჯები გადაიდგას ამ სოფლებში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით. ხაზი უნდა გაესვას, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სხვა სოფლებშიც. ადამიანის უფლებათა ცენტრი გააგრძელებს ამ მიმართულებით მონიტორინგისა და ადვოკატირების საქმიანობას.

გორის მუნიციპალიტეტი

სოფელი ერგნეთი

2022 წლის 23 მაისს, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ გორის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ ერგნეთში. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სხვა სოფლების მსგავსად, ერგნეთში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა ოკუპაციით გამოწვეულ პრობლემებთან ერთად, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარე საცხოვრებელი სახლები, ძირითადად, მიტოვებულია. ადგილობრივებმა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად დაასახელეს შიდა გზებისა და სარწყავი სისტემების მოუწესრიგებლობა, ამბულატორიის მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა, მაღაზიისა და აფთიაქის არქონა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართავი სისტემა.

სარწყავი არხების მოუწესრიგებლობა სოფლის მოსახლეობისთვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სხვა სოფლების მსგავსად, სოფელ ერგნეთის მოსახლეობისათვისაც შემოსავლის მიღების ერთ-ერთი მთავარი წყარო მიწის დამუშავება და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმეებია. მცოცავმა ოკუპაციამ მოსახლეობის ნაწილს წაართვა

კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა. მიწის ნაკვეთების ნაწილზე ადგილობრივ მოსახლეებს შენარჩუნებული აქვთ წვდომა. შესაბამისად, ნაკვეთების დასამუშავებლად და საარსებო მოსავლის მისაღებად ესაჭიროებათ გამართული სარწყავი სისტემა და სარწყავი წყლით უზრუნველყოფა.

მიწათმოქმედების ხელშემშლელ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მიწის დამუშავებისათვის საჭირო ტექნიკის ნაკლებობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეკითხვით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელს. მან დაადასტურა, რომ ტექნიკის პრობლემა ნამდვილად აქტუალურია. მისი განცხადებით, გამქირავებელი კომპანია ტექნიკას არ აახლებს. საჭირო ტექნიკის შესაძენად, მან ადგილობრივ მოსახლეობას სამინისტროს თანადაფინანსების სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა ურჩია[4].

აღსანიშნია, რომ საარსებო წყაროების ნაკლებობის გამო, ბევრმა მოსახლემ დატოვა სოფელი. *„აქ ბავშვები აღარ ჩნდებიან. დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა ერგნეთი. სკოლა 7-მა მოსწავლემ დაასრულა. ისინი ქალაქში წავლენ. უკან დაბრუნებული ძალიან ცოტა მინახავს“* - აღნიშნა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებთან სოფლის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა[5].

სოფელ ერგნეთში არსებული კიდევ ერთი მწვავე პრობლემაა ადეკვატური სამედიცინო მომსახურების ნაკლებობა. სოფელში ფუნქციონირებს ამბულატორია, მაგრამ იგი, უმეტესწილად, დაკეტილია. ექიმი ამბულატორიაში კვირაში მხოლოდ ერთხელ ცხადდება. ეს პრობლემას წარმოადგენს სოფელში დარჩენილი მოხუცებისთვის, რომლებსაც ხშირად სჭირდებათ სამედიცინო დახმარება. *„ექიმი კვირაში ერთ დღეს მოდის, მაგრამ პანდემიის პერიოდში, ცუდ ამინდებში, ფორსმაჟორში ან ტრანსპორტი როცა არ მუშაობს, ვერ ახერხებს ზოგჯერ ადგილზე ჩამოსვლას. ერთი დღე ისედაც არ არის საკმარისი და ხან ესეც არ გვაქვს“* - აღნიშნა სოფელში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ხანდაზმულმა პირმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებთან საუბრისას. ამბულატორია როცა დაკეტილია, სამედიცინო მომსახურება კი - აუცილებელი, მოსახლეობა იძულებულია, გორში წასვლაზე იფიქროს. ამ შემთხვევაში, ადგილობრივები პრობლემას აწყდებიან ტრანსპორტთან დაკავშირებით. ერგნეთში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არაზუსტი გრაფიკით მუშაობს. გორში ჩასასვლელად, მოსახლეობას ხშირად რამდენიმესაათიანი ლოდინი უწევს. *„ტრანსპორტი ძალიან გაძვირდა და ყველას არ აქვს საშუალება, რომ იაროს გორში. თანაც ტრანსპორტი გრაფიკის გარეშე მოძრაობს - ვისაც როგორ უნდა, ისე დადის. ტრანსპორტი დგას და სანამ არ შეივსება, მძღოლი არ მიდის. საათობით შეიძლება, მოგიწიოს ლოდინი. ეს არის კატასტროფა“* - უთხრა ერგნეთის ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს[6]. ჯანდაცვის პრობლემებიდან მოსახლეობამ ყურადღება გაამახვილა ასევე სოფელში აფთიაქის არარსებობაზე. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ ამბულატორიაში შეუძლებელია ყველა საჭირო მედიკამენტის მიღება. შესაბამისად, სოფელში აფთიაქის ფუნქციონირება მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სათემო ცენტრთან დაუბრკოლებელი კავშირი და ამ მიზნით მოქმედი გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა ასევე აუცილებელია დასაქმების ბაზარზე წვდომისთვის, სხვადასხვა სოციალური სერვისებით სარგებლობისა და ყოველდღიური

---

[4] სტატია „„მომაკვდავი სოფელი - როგორ ცხოვრობენ ერგნეთში ომიდან მეთოთხმეტე წელს“: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20445&lang=geo

[5] *იგივე*

[6] *იგივე*

საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ამ საკითხის მნიშვნელობას სოფელ ერგნეთის არაერთმა მაცხოვრებელმა გაუსვა ხაზი ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებთან საუბრისას.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2022 წლის ივნისში ოფიციალური განცხადებით მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას ერგნეთში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობებია დაგეგმილი ამ პრობლემების მოგვარების მიზნით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეგულირების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილება. დადგენილება ითვალისწინებდა კონკურსის შედეგად შერჩეული სატრანსპორტო საშუალებებისთვის მგზავრების გადაყვანის ნებართვების გაცემას. ამის შემდეგ, სატრანსპორტო საშუალებების შერჩევის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა კონკურსი. თუმცა, კონკურსი არ შედგა. მერიამ აღნიშნა, რომ ამ საკითხის მოგვარების მიზნით მუშაობს რამდენიმე მიმართულებით. სოფელში აფთიაქისა და მაღაზიის არარსებობის საკითხთან დაკავშირებით, მერია აცხადებს, რომ აფთიაქისა და მაღაზიის ფუნქციონირება კომერციული საქმიანობაა. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა გორის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს. თუმცა, მერიას კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია, მსურველს მუნიციპალური ფართი სარგებლობის უფლებით გადასცეს. რაც შეეხება სოფელ ერგნეთში სარწყავი წყლის სისტემის მუშაობასთან და ამბულატორიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამ საკითხებზე გორის მუნიციპალიტეტის მერიას არ უპასუხია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა სოფელ ერგნეთში არსებულ ჯანდაცვის პრობლემებთან დაკავშირებით შეკითხვით მიმართეს ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ შპს შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს. როგორც ცენტრის დირექტორმა განაცხადა, სოფელ ერგნეთში განთავსებულ ამბულატორიაში ექიმის ყოველდღიური ვიზიტის რესურსი არ არის, მაგრამ დღის წესრიგში დააყენებს საკითხს, რომ ექიმი თუ არა, ექთანი მაინც გამოცხადდეს ერგნეთის ამბულატორიაში უფრო ხშირად[7].

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული პრობლემების მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის მაღალი თანამდებობის პირების აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის რიგი მაღალი თანამდებობის პირები სრულფასოვნად არ არიან გარკვეული საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ მწვავე პრობლემებთან დაკავშირებით. მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, თამაზ შიოშვილმა, ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის მიცემულ ინტერვიუში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ სარწყავ და სასმელ წყალთან დაკავშირებულ პრობლემებთან მიმართებით აღნიშნა, რომ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე 26 სოფლიდან სარწყავი წყალი შეფერხებით მხოლოდ 2 სოფელს მიეწოდება (ბერშუეთი და კირბალი)[8]. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ სარწყავი წყლის პრობლემა გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე არაერთ სხვა სოფელში არსებობს, მაგალითად - ციცაგიანთკარში, ერგნეთსა და ხურვალეთში[9]. რაც შეეხება სასმელ წყალს, მერის მოადგილემ აღნიშნა, რომ საოკუპაციო ხაზის მოსაზღვრე ყველა სოფელი

[7] სტატია „მომაკვდავი სოფელი - როგორ ცხოვრობენ ერგნეთში ომიდან მეთოთხმეტე წელს“: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20445&lang=geo

[8] სტატია „გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოვლენილ პრობლემებზე საუბრობს“: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20449&lang=geo

[9] სტატია ,,დაცლილი და დაბერებული - ხურვალეთი ოკუპაციის პირისპირ“: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20446&lang=geo

უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. თუმცა გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის მოსაზღვრე სოფელ აძვს სასმელად უვარგისი წყალი მიეწოდება, რაც საფრთხეს უქმნის ამ სოფლის მცხოვრებთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აუცილებელია გორის მუნიციპალიტეტის მერიის მაღალი თანამდებობის პირები სათანადო ინფორმაციას ფლობდნენ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული მწვავე პრობლემების შესახებ და ზრუნავდნენ მათ მოგვარებაზე. ეს მათი კანონით დაკისრებული პირდაპირი მოვალეობაა.

კასპის მუნიციპალიტეტი

სოფელი თვაურები

2021 წლის 27 აპრილს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ თვაურებში. სოფელში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გაუმართავი შიდა გზები. სოფელში განთავსებული ბლოკსაგუშაგოდან სოფლის გასასვლელამდე (საოკუპაციო ხაზის მიმართულებით) გზა მოუწესრიგებელია. გზის ამ მონაკვეთზე სარწყავი არხის გაწმენდის შემდეგ დარჩენილი ნარჩენები არ გატანილა, რაზეც განსაკუთრებული წუხილი გამოითქვა. ეს დისკომფორტს უქმნის ადგილობრივ მაცხოვრებლებს და ართულებს ტრანსპორტის გადაადგილებას. გზის მოუწესრიგებლობის გამო, ხშირად სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ ახერხებს სოფელში მცხოვრებ პაციენტებამდე მისვლას, რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. გზის ამავე მონაკვეთზე არ არის დამონტაჟებული გარეგანათება.

გარდა ამისა, სოფელ თვაურებში კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა სახიფათო პირობებში განთავსებული ამბულატორია და მშენებარე რიტუალების დარბაზი. ამ შენობების უკან მდებარე სარწყავი არხი დაზიანებულია, რის შედეგადაც წყალი ადგება და ასველებს შენობების კედლებსა და საძირკველს. გაუმართავი სარწყავი არხი დიდ ზიანს აყენებს მიმდებარე მიწის ნაკვეთებსაც. დატბორვის შედეგად ფუჭდება და ნადგურდება მოსავალი. ადგილობრივების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია თანხები მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად, ისინი არ ხმარდება ამ პრობლემის გადაჭრას.

სოფელ თვაურებს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი და მოსახლეობა სარგებლობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური შეღავათებით. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი და სარწყავი წყლით, ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2021 წლის აპრილში ოფიციალური წერილით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის მერიას სოფელ თვაურებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია, თუ რა აქტივობებია დაგეგმილი ამ პრობლემების მოგვარების მიზნით. მერიისგან მიღებული პასუხის თანახმად, დაგეგმილია სამუშაოები სოფელ თვაურების ზედა უბანზე შიდა საუბნო გზების მოხრეშვისა და სანიაღვრე არხების გასუფთავების მხრივ. ასევე, დაგეგმილია სოფლის ზედა უბანზე გარეგანათების მოწყობა.

ქარელის მუნიციპალიტეტი

სოფლები - ღოღეთი და ფცა

2022 წლის 27 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქარელის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში - ღოღეთი და ფცა. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სხვა სოფლების მსგავსად, საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალურია ღოღეთსა და ფცაში. სოფელი

ღოღეთი საზოგადოებრივი ტრანსპორტით საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი. სოფლის მაცხოვრებლები, რომლებსაც არ ჰყავთ საკუთარი ავტომობილი, მეზობელ სოფელში უნდა ჩავიდნენ, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლონ ან კერძო ავტომობილის მფლობელ სოფლის სხვა მაცხოვრებელს სთხოვონ დახმარება გადაადგილებაში. მეზობელ სოფელთან დაუბრკოლებელი კავშირი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა არსებითად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ სოფელ ღოღეთში არ არის სამედიცინო პუნქტი, სკოლა და საბავშვო ბაღი. მსგავსი სოციალური მიზნებით სოფელ ღოღეთის მაცხოვრებლები მეზობელ სოფელ ფცაში დადიან.

სოფელ ღოღეთის ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა 2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მცოცავი ოკუპაციის შედეგად დაკარგა მიწის ნაკვეთები, რომელიც მათთვის შემოსავლის მიღების მთავარ წყაროს წარმოადგენდა. მათ არ მიუღიათ რაიმე სანაცვლო მიწა ან კომპენსაცია დაკარგული მიწისთვის. მოსახლეობის კონტროლს ქვეშ დარჩენილი მიწის დამუშავებას კი ხელს უშლის გაუმართავი სარწყავი სისტემა. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ბევრი სხვა სოფლის მსგავსად, სოფელ ღოღეთშიც სარწყავი წყალი სოფლის მხოლოდ ერთ ნაწილს მიეწოდება.

საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალურია სოფელ ფცაშიც. საზოგადოებრივი ტრანსპორტი სოფელს მთლიანად არ ჰფარავს. სოფელში მხოლოდ ერთი პუნქტია, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მივიდეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლოს. ეს პუნქტი საკმაოდ დაშორებულია სოფლის პერიფერიებს, რაც განსაკუთრებით პრობლემურია სოფელში მცხოვრები ხანდაზმული პირებისთვის, რომლებსაც უჭირთ გადაადგილება.

სოფელ ფცაშიც პრობლემურია სარწყავი წყლის სისტემის გაუმართაობა. სოფლის ნაწილს მიეწოდება სარწყავი წყალი, ნაწილს კი - არა. სოფლის მაცხოვრებლები წუხილს გამოხატავენ ამ პრობლემასთან დაკავშირებით და ითხოვენ სარწყავი სისტემის შეკეთებას. სოფელში პრობლემას წარმოადგენს ასევე დაზიანებული შიდა გზები. სოფლის გზის მონაკვეთის ნაწილზე არ არის დაგებული ასფალტი.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2022 წლის ოქტომბერში ოფიციალური წერილით მიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას ღოღეთსა და ფცაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობებია დაგეგმილი ამ პრობლემების მოგვარების მიზნით.

ხაშურის მუნიციპალიტეტი

სოფლები - ჩორჩანა და ყობი

2022 წლის 27 სექტემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში - ჩორჩანაი და ყობი. საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ჩორჩანაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის სისტემის გაუმართაობა. მოუწესრიგებელია ასევე სარწყავი არხები. სოფელში არ არის განთავსებული ნაგვის ურნები.

სოფელ ყობში მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს. სოფელს არ მიეწოდება ელექტროენერგია. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ სოფელში მცხოვრებ ოჯახს მზის ბატარეები აჩუქა. სოფლამდე არ არის მიყვანილი გზა, რაც სოფლიდან წასულ მოსახლეობას უკარგავს დაბრუნების ყოველგვარ სურვილს. დარჩენილი ოჯახიც ზამთრის პერიოდში მიდის სოფლიდან, რადგან თოვლისა და ტალახის გამო სოფლამდე მისვლა

შეუძლებელი ხდება. გაუმართავი გზის გამო, შეუძლებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებაც, რაც სოფელში დარჩენილი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. საყოფაცხოვრებო და ინფრასტრუქტურული პრობლემების უგულებელყოფა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც განაპირობებს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციას.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2022 წლის ოქტომბერში ოფიციალური წერილით მიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას ჩორჩანასა და ყობში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობებია დაგეგმილი ამ პრობლემების მოგვარების მიზნით.

დუშეთის მუნიციპალიტეტი

სოფლები - ჩიტაურები და თანდილაანთკარი

2022 წლის 12 ივლისს, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში - ჩიტაურები და თანდილაანთკარი.

სოფელი ჩიტაურები მაღალმთიან ზონაში მდებარეობს. სოფელი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, წყლითა და გაზით. თუმცა, მოსახლეობას აწუხებს სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. განსაკუთრებით პრობლემურია საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა. სოფელი საკმაოდ დაშორებულია რაიონულ ცენტრს. შესაბამისად, ადგილობრივებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყოფა სასიცოცხლოდ აუცილებელია მათი ყოველდღიური საჭიროებების უზრუნველსაყოფად. სოფლის მაცხოვრებლები ითხოვენ კვირაში ერთხელ, ერთი დღით (მაგალითად - კვირა დღეს) მაინც გამოიყოს მათთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რათა შეძლონ თუნდაც საკუთარი ნაწარმის ჩატანა ბაზარში და იქიდან ოჯახისთვის საჭირო პროდუქტების შეძენა. სოფელში არ არის მაღაზია და აფთიაქი.

ადგილობრივების განმარტებით, პერიოდულად ხდება სოფლამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლების ვიზიტისას გზები იყო დაზიანებული, რაც გადაადგილებისას ქმნიდა პრობლემას.

სოფელ თანდილაანთკარში მწვავე პრობლემას წარმოადგენს მოუწესრიგებელი წყლის სისტემა და გაზის არქონა. სოფლის მაცხოვრებლები ზამთარში შეშით თბებიან. სოფელში არ არის ამბულატორია და არ ემსახურებათ ექიმი. ჩიტაურების მსგავსად, არც თანდილაანთკარში არ არის მაღაზია და აფთიაქი. საზოგადოებრივი ტრანსპორტით სოფლის მოსახლეობა კვირაში მხოლოდ ორჯერ არის უზრუნველყოფილი.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2022 წლის აგვისტოში წერილობით მიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას ჩიტაურებსა და თანდილაანთკარში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია, თუ რა აქტივობებია დაგეგმილი ამ პრობლემების მოგვარების მიზნით. ორგანიზაციას დღემდე არ მიუღია პასუხი მერიისგან.

დუშეთის მუნიციპალიტეტი

სოფლები - პეტრიანი, ახალი ბურღული და ქარქუშაანი

2021 წლის 22 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში - პეტრიანი, ახალი ბურღული და ქარქუშაანი. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სხვა სოფლების მსგავსად, ამ სოფლებშიც მძიმე-სოციალურ ეკონომიკური ვითარებაა. ადგილობრივი მოსახლეობის

ინფორმაციით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა გაუმართავი სასმელი წყლის სისტემა. თუმცა, აღინიშნა, რომ მიმდინარეობდა სამუშაოები ამ მიმართულებით. მოუწესრიგებელია ასევე სარწყავი სისტემები. სარწყავი წყლის არარსებობა უმწვავესად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ოკუპაციამ შეზღუდა მათი წვდომა გარშემო არსებულ ტყესა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, მათი წვდომის ქვეშ დარჩენილი მიწის მცირე რესურსი მათთვის საარსებო შემოსავლის მიღების მთავარი წყაროა. მაგრამ, სარწყავი წყლის არარსებობის გამო, მოსახლეობა მიწის ამ მცირე ნაწილსაც კი ვერ იყენებს შესაბამისად. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამ პრობლემის გამო ადგილობრივებს მთელი წლის მოსავალი ვერ აუღიათ.

ერთ-ერთ მწვავე პრობლემად დასახელდა ასევე კომუნალური მომსახურებების არარსებობა ან/და არასრულფასოვანი მიწოდება. კერძოდ, მითითებულ სოფლებში არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი. რაც შეეხება ელექტროენერგიას, მოუწესრიგებელი ქსელის გამო, ამინდის გაუარესებისას ხშირად ითიშება ელექტროენერგია. გაუმართავი იყო ასევე საუბნო განათებაც. ასევე, აღსანიშნია, რომ რამდენიმე სოფელში საერთოდ არ იყო განთავსებული ნაგვის ურნები.

მოცემულ სოფლებში ამორტიზებულია შიდა საუბნო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზებიც. აფთიაქი, მაღაზია, სკოლა და ბაღი განთავსებულია მხოლოდ პეტრიანში, სადაც ყოველდღიურად სიარული მოუწესრიგებელი გზების პირობებში სხვა სოფლების მაცხოვრებლებისთვის რთულია.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2021 წლის ნოემბერში წერილობით მიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას პეტრიანში, ახალ ბურღულსა და ქარქუშაანში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობებია დაგეგმილი ამ პრობლემების მოგვარების მიზნით. ორგანიზაციას დღემდე არ მიუღია პასუხი მერიისგან.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში

საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში ვიზიტების განხორციელებისას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მნიშვნელოვან პრობლემას აწყდებიან. სოფლებში შესვლის ნებართვის მოპოვების მიზნით, სამართალდამცავი პირები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს წინასწარი შეტყობინების წარდგენას სთხოვენ ძალოვან უწყებებში. თუ ასეთი შეტყობინება გაკეთებული არ არის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეკრძალებათ ამ სოფლებში შესვლა, ფოტო და ვიდეოგადაღება და საოკუპაციო ხაზთან მიახლოება. ეს მოთხოვნა ეხება როგორც იმ სოფლებს, რომელთა შესასვლელში პოლიციის საგუშაგოა განლაგებული, ასევე, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე იმ სოფლებს, რომელთა შესასვლელში მსგავსი საგუშაგო განთავსებული არ არის.

ზემოაღწერილი მოთხოვნა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს. გადაადგილების თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განმტკიცებული ფუნდამენტური უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ <u>კანონის შესაბამისად,</u> დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან

მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. მსგავს პრინციპებს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №4 დამატებითი ოქმიც, რომლის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლის უფლება. ამ უფლებაში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებების დასაცავად.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში გადაადგილების შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული არცერთი ნორმატიული აქტით. შესაბამისად, იგი უკანონოა და გადაადგილების თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა წერილობით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია, არსებობს თუ არა რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში შესასვლელად, სოფლებში ფოტო და ვიდეოგადაღების განსახორციელებლად და საოკუპაციო ხაზთან მისაახლოებლად სამართალდამცავი ორგანოებისადმი წინასწარი შეტყობინების წარდგენის ვალდებულებას განსაზღვრავს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან 2022 წლის 16 აგვისტოს მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ გადაადგილებას არ ზღუდავს. თუმცა, უწყება ამასთანავე აღნიშნავს, რომ *,,ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ გადაადგილებისას ადგილზე წარმოდგენილი პოლიციის დანაყოფები მხედველობაში იღებენ საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ უსაფრთხოების ვითარებას“.*

შინაგან საქმეთა სამინისტრო კი გადაადგილების შეზღუდვის გასამართლებლად ,,პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე და 26-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემდეგ პუნქტებზე მიუთითებს:

- პოლიციელი უფლებამოსილია, პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება ან აუკრძალოს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად;
- დროებით შეზღუდოს პირის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება საფრთხის თავიდან აცილების მიზნით;
- დროებით შეზღუდოს ნივთის ფაქტობრივი ფლობა.

კანონის აღნიშნული დებულებების საფუძველზე გადაადგილების შეზღუდვა შესაძლებელია კონკრეტული და რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში გადაადგილების შეზღუდვა კი რუტინულად, კონკრეტული საფრთხის არსებობის მიუხედავად ხდება. ამასთანავე, ბუნდოვანია, თუ რა რეკვიზიტებს უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარი შეტყობინება, რომლის წარდგენის ვალდებულება ეკისრებათ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამართალდამცავი ორგანოების წინაშე სოფლებში ვიზიტის განხორციელებამდე: რომელი უწყების წინაშე უნდა წარადგინონ შეტყობინება, რა ფორმით, რა ვადების დაცვით, რა საკითხებზე, პირთა რა წრეს ეხება ეს შეზღუდვა, და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ამ საკითხების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტი, ირღვევა უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი განჭვრეტადობისა და სიცხადის პრინციპიც. კერძოდ, ბუნდოვანი და წინასწარ განუჭვრეტადია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის - ვინ არის შეზღუდვის ადრესატი და კონკრეტულად რა მოქმედებები ეზღუდება არასამთავრობო ორგანიზაციების

წარმომადგენლებს თუ სხვა პირებს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში. ამ საკითხების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს მხოლოდ ზეპირსიტყვიერად ესაუბრებიან, კონკრეტული სამართლებრივი აქტის მითითების გარეშე. საინტერესოა რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის გამოგზავნილ პასუხში, გარდა ,,პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებებისა, ამ პრობლემური პრაქტიკის გასამართლებლად იმ სამართლებრივ აქტებზეც მიუთითებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი არ სცნობს ფუნდამენტური უფლების შეზღუდვას ისეთი სამართლებრივი აქტით, რომლის შინაარსი უფლებით მოსარგებლე სუბიექტებისთვის გასაიდუმლოებულია.

სწორედ წინასწარი შეტყობინების განუხორციელებლობის მოტივით არ მისცეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ აძვში სასმელი წყლის იმ სათავე ნაგებობის დათვალიერების უფლება, რომელიც, ადგილობრივების თქმით, დაბინძურებულია. სასმელი წყლის დაბინძურების ფაქტი სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ახლახანს ჩატარებულმა ლაბორატორიულმა გამოკვლევამაც დაადასტურა. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში - ციცაგიანთკარი, ჯარიაშენი, აძვი - 2022 წლის 26 ივლისში იმყოფებოდნენ. არც სოფლის შესასვლელებში და არც საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს არ იყო მინიშნება გადაადგილების აკრძალვისა თუ მარშრუტის ძალოვან უწყებებთან შეთანხმების შესახებ. არ იყო მითითება ფოტო და ვიდეოგადაღების შეზღუდვის ან წინასწარი შეთანხების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, შსს გორის რაიონული სამმართველოს მეჯვრისხევის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებისგან კატეგორიულად მოითხოვეს ამ სოფლებში მათი გადაადგილებისა და საოკუპაციო ხაზთან ფოტო/ვიდეოგადაღების წინასწარი შეთანხმება ძალოვან უწყებებთან. სამართალდამცავმა პირებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს არ მისცეს შესაძლებლობა, მიახლოებოდნენ და გადაეღოთ საოკუპაციო ხაზი და საოკუპაციო ხაზთან ახლოს, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე წყალმომარაგების ავზი.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში გადაადგილებისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც წინასწარი შეტყობინება სამართალდამცავი უწყებების მიმართ წარდგენილია, ძალოვანი უწყების წარმომადგენლები დამატებით ბარიერს უქმნიან ადამიანის უფლებათა ცენტრის თავისუფალ საქმიანობას. კერძოდ, სამართალდამცავი პირები ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს თან დაჰყვებიან სოფლებში გადაადგილების მთელი პერიოდის განმავლობაში და აკონტროლებენ მათ მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს. ამ პირობებში შეუძლებელია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე მონიტორინგის სრულფასოვანი განხორციელება. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იმ სიტუაციებსაც კი აკვირდებიან, როდესაც ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობას სოფლებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ესაუბრებიან. ეს საკითხები მოიცავს სოფლებში არსებულ როგორც უსაფრთხოების, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ამ პრობლემებზე ღიად საუბარი სახელმწიფო უწყებების კონტროლისაგან თავისუფალ გარემოს მოითხოვს, რადგან საუბრის შინაარსი, ხშირ შემთხვევებში, სწორედ სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილ უყურადღებობას ეხება.

აღსანიშნია, რომ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში საქმიანობისას მსგავს პრობლემებს აწყდებიან ასევე ჟურნალისტები და მედიასაშუალებების წარმომადგენლები. ეს

ფაქტები ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ნიშნებს შეიცავს. Humanrights.ge-თან საუბრისას, Qartli.ge-ის რედაქტორმა, საბა წიწიკაშვილმა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მუშაობისას სამართალდამცავი პირების მხრიდან შექმნილ დაბრკოლებებზე ისაუბრა. მისი თქმით: *„ფაქტობრივად, მუშაობ პოლიციელებთან ერთად, რაც ძალიან არასასიამოვნო პროცესია, როგორც ჟურნალისტისთვის, ისე რესპონდენტისთვის. ზოგჯერ იმდენად უხერხული სიტუაცია იქმნება, რომ მოსახლეობისთვის გიწევს ახსნა, რომ პოლიციელებისგან დამოუკიდებლად მუშაობ. აკეთებ საქმეს, რომლის გაკონტროლებასაც ცდილობს შსს. სოფლებში შესვლის დროს მთელი რიგი ისეთი პროცედურების გავლა გიწევს, რომელიც ელემენტარულად დროის კარგვაა და რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას იწვევს. ეს ფორმა არის მედიის შეზღუდვის მცდელობა - ყველანაირი გაგებით. ერთია, როდესაც პოლიცია ზრუნავს შენს უსაფრთხოებაზე, მეორე კი, - პოლიციას აინტერესებს, რას და როგორ მუშაობ“*[10]. „მთავარი არხის“ ჟურნალისტის, გიორგი ახალკაცისგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, არის შემთხვევები, როცა არ უშვებენ არც იმ სოფლებში, რომელიც არ ესაზღვრება გამყოფ ხაზს. *„პოლიცია დაგვყვება ყველგან, სანამ არ დავტოვებთ არარსებული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიას. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ვიმყოფებოდი სოფელ კირბალში. რამდენიმე ადგილობრივი ჩავწერე და მალევე გამოვბრუნდი. ვიფიქრე - გავალ სოფლიდან და პირდაპირ ჩართვას გზიდან გავაკეთებ მეთქი. გამოვედი კირბალიდან და გავჩერდი გორი-მეჯვრისხევის გზაზე. გამოგვყვა პოლიციაც. თითქმის ერთი საათი ველოდე ჩართვის რიგს და ამ ხნის განმავლობაში პოლიციის ეკიპაჟიც მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გაჩერებული და თვალს გვადევნებდნენ. ჩართვის დასრულების შემდეგ, ეკიპაჟმა სოფელ ხელთუბნამდე გვდია. გარდა იმისა, რომ ჩვენ პირდაპირ თუ ირიბად გვიშლიან ხელს მუშაობაში, ვთვლი რომ არაეფექტურად იხარჯება სახელმწიფო რესურსი და ეს მანკიერი პრაქტიკა უნდა შეიცვალოს“*[11], - აცხადებს გიორგი ახალკაცი.

რეკომენდაციები

გორის მუნიციპალიტეტის მერიას:

- შეისწავლოს სოფელ ციცაგიანთკარში სარწყავი წყლის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები და სარწყავი წყლის მიწოდება უზრუნველყოს მთელი სოფლის მოსახლეობისთვის;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას:

- აღჭურვოს ციცაგიანთკარში არსებული ამბულატორია შესაბამისი ინვენტარითა და სამედიცინო პერსონალით;
- აღჭურვოს ერგნეთში არსებული ამბულატორია შესაბამისი სამედიცინო პერსონალით და უზრუნველყოს მისი გამართული მუშაობა;

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისებამდე განხორციელდეს კომუნიკაცია სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გორის მუნიციპალიტეტის

[10] სტატია „უკანონო საპოლიციო კონტროლი გამყოფ ხაზთან - საზოგადოების კრიტიკა და ხელისუფლების პასუხი“: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20454&lang=geo&fbclid=IwAR0VYzgJ9Z9S3S7s232KF2ntsR6DEgGq032sqDnrzgDH3_BpiE9fxQ-Nh08

[11] *იგივე*

მერიას შორის და გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია, რომლისთვისაც ამ მიწებზე წვდომის შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას:

- უზრუნველყოს სუფთა სასმელი წყლის მიწოდება სოფელ აძვის მოსახლეობისთვის;

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას:

- უპასუხოს ადამიანის უფლებათა ცენტრის ოფიციალურ განცხადებებს და წარმოადგინოს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სოფლებში - ჩიტაურები, თანდილაანთკარი, პეტრიანი, ახალი ბურღული და ქარქუშაანი - არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოს სოფელ ჩიტაურებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა სოფელ ჩიტაურებში;
- უზრუნველყოს დაზიანებული შიდა გზების რეაბილიტაცია სოფლებში - პეტრიანი, ახალი ბურღული და ქარქუშაანი.

საქართველოს მთავრობას და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას:

- უზრუნველყოს სასმელი წყლის მიწოდება სოფელ თანდილაანთკარში;
- უზრუნველყოს სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მოწესრიგება და ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება სოფლებში - პეტრიანი, ახალი ბურღული და ქარქუშაანი;

ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას:

- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირება სოფელ ღოღეთში;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება სოფელ ფცაში;
- უზრუნველყოს დაზიანებული შიდა გზების რეაბილიტაცია სოფელ ფცაში.

საქართველოს მთავრობას და ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას:

- შეისწავლოს სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები და უზრუნველყოს სარწყავი წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირება სოფლებში - ღოღეთი და ფცა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას:

- უზრუნველყოს სოფელ ყობამდე მისასვლელი დაზიანებული გზის რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობას და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას:

- შეისწავლოს სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები და უზრუნველყოს სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება სოფელ ჩორჩანაში;
- უზრუნველყოს ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება სოფელ ყობში.